## თვისებითი ზედსართავი სახელი - Adjectifs qualificatifs

თვისებითი ზედსართავი სახელი აღნიშნავს საგნის თვისებას ან მდგომარეობას. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ არსებით სახელთან, რომელსაც განსაზღვრავს და სქესსა და რიცვში ეთანხმება მას.

ფრანგულ ენაში თვისებითი ზედსართავი სახელი მეტყველების დამოუკიდებელ ნაწილს წარმოადგენს. ჭინადადებაში იგი შეიძლება იყოს განსაზღვრება ან შემასმენელის სახელითი ნაწილი.

## თვისებითი ზედსართავი სახელის მდედრობითი სქესის წარმოება - Féminin des adjectifs qualificatifs

masculin - féminin

თვისებითი ზედსართავი სახელის მდედრობითი სქესი, ისივე როგორც არსებითი სახელებისა, იწარმოება მამრობითი სქესის ზედსართავი სახელებისათვის მუნჯი e-ს მიმატებით :

exemple

**grand – grande**

**petit – petite**

**français – française**



დაბოლოებები: -d, -t, -s მდედრობით სქესში გამოითქმის

მამრობით სქესში -e-ით დაბოლოებულ ზედსართავი სახელები მდედრობით სქესში დაბოლოებას არ იცვლიან. masculin = féminin

exemple

**large – large**

**jeune – jeune**

მამრობით სქესში -er-ით დაბოლოებული ზედსართავი სახელები მდედრობით სქესში იმატებენ e-ს და accent grave-ს ბოლოსწინა e-ზე

exemple

**léger -légère**

**grossier – grossière**

მამრობით სქესში -f-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი მდედრობით იღებენ დაბოლოება -ve-ს :

exemple

**actif – active**

**neuf – neuve**

მამრობით სქესში -eux-თი დაბოლოებული ზედსართავი სახელი მდედრობითი სქესში -euse-ით იცვლება:

exemple

**heureux – heureuse**

**paresseux – paresseuse**

გამონაკლისი შემთხვევები:



**doux – douce**
**faux –fausse**
**roux –rousse**
**vieux – vieille**
**long – longue**
**sec – sèche**
**blanc – blanche**
**grec – grecque**
**franc – franche**
**frais – fraîche**
**public – publique**
**malin – maligne**
**turc - turque**

-el, -eil, -ien, -on, -et-ით დაბოლოებულ ზედსართავი სახელები მდედრობით სქესში იორკეცებენ ბოლო თანხმოვანს და იმატებენ მუნჯ e-ს:

exemple

**actuel – actuelle**

**vermeil -vermeille**

**bon – bonne**

**muet -muette**

გამონაკლისი შემთხვევები:



**concret - concrète**

**discret – discrète**

**inquiet – inquiète**

**secret - secrète**

შემდეგი ზედსართავი სახელები მდედრობით სქესში იორკეცებენ ბოლო თანხმოვანს და იმატებენ მუნჯ e-ს:

**bas – basse**

**gras -grasse**

**gros – grosse**

**épais – épaisse**

exemple

**las – lasse**

**gentil - gentille**

**nul – nulle**

**sot – sotte**

**vieillot – vieillotte**

**pâlot – pâlotte**

**paysan – paysanne**

შემდეგი ხუთ ზედსართავ სახელს მამრობით სქესში ორი ფორმა აქვს:

**beau – bel - belle**

**nouveau – nouvel - nouvelle**

exemple

**mou – mol – molle**

**vieux – vieil – vieille**

**fou -fol -folle**

## გამოყენებული მასალა


1. Grammaire expliquée du français, niveau intermédiare – CLE INTERNATIONAL
2. Grammaire profressive du français, niveau intermédiare – CLE INTERNATIONAL
3. ფრანგული ენის გრამატიკა - ა.ა. სირეიშჩიკოვა